

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ნანობაშვილის 2020 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

2017 წლის 20 ნოემბრიდან ვარ საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და კომისიის თავმჯდომარე. ჩემი საქმიანობისას ვხელმძღვანელობ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით. შესაბამისად, საქმიანობას წარვმართავ იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. სწორედ ეს განაპირობებს ჩემს მუშაობას, რომლის მთავარი მიმართულებაა ადგილობრივ დონეზე მოსახლეობისა და საკრებულოს ინტერესების გათვალისწინება და მიღებული ნდობის შენარჩუნება.

2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ოქტომბრამდე ჩატარდა საკრებულოს 14 სხდომა, ვესწრებოდი 14-ს, აქტიურად ვიყავი ჩართული საკითხების განხილვაში. საკრებულოს სხდომებზე ჩემ მიერ მხარდაჭერილ იქნა როგორც საკრებულოს სამუშაო გეგმით განსაზღვრული, ასევე მუნიციპალიტეტის წინაშე დღის წესრიგში დასმული მიმდინარე საკითხები. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ჩატარა 5 სხდომა.

კომისიის კომპეტენციის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები :

1. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“;
2. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის ვასილ ბალიაშვილის 2019 წლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ“;
3. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის გიორგი გოგილაშვილის 2019 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ“;
4. ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2019 წ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ“;
5. ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“-ს დირექტორის თენგიზ მოსულიშვილის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;
6. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსის ლია ბაკაშვილის ანგარიში 2020 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ“.

ასევე ვესწრებოდი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 7 სხდომას. საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან, მოვისმინე მათი პრობლემური და პრიორიტეტული საკითხები, რაც ძირითადად შეეხება: სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებას, მედიკამენტების, ოპერაციებისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი სარეაბილიტაციო კურსების დაფინანსებას, მოსახლეობის სამშენებლო მასალითა და შეშით უზრუნველყოფას, მიწის რეგისტრაციასა და ინფრასტრუქტურულ საკითხებს.

2017 წლიდან დღემდე მონაწილეობას ვიღებ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დახმარების კომისიის მუშაობაში, საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით სოფ. ვაქირში მცხოვრები 107 ბენეფიციარი დაფინანსდა, გაცემული თანხა შეადგენს 30 460ლარი.

მუხლობრივად განაწილდა შემდეგნაირად: ავადმყოფთა სოც. დაცვა ადმინისტრაციული დაპირების თანახმად გასაცემმა თანხამ შეადგინა 19 855 ლარი (38-განცხადება), ხოლო დიალუზის პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებზე გასაცემმა თანხამ 800 ლარი (1 მოქალაქე), ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოც. დახმარება 300 ლარი (3 განცხადება), შშმ პირთა სოც.დაცვა 2860 ლარი (23 განცხადება), ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 600 ლარი (6 განცხადება), სხვა სოციალური ხარჯებიდან-3270 ლარი (32 განცხადება), ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის მუხლიდან 500 ლარი( 3განცხადება), მარტოხელა და მარჩენალდაკარგული ოჯახების სოციალური დაცვის მუხლიდან 450 ლარი (3 განცხადება), ხანძრებისა და სტიქიური მოვლენებით ოჯახებზე მიყენებული ზარალისთვის დახმარება 700 ლარი (1 განცხადება),ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახებიდან სტუდენტთა დაფინანსების მუხლიდან \_1500 ლარი (41 განცხადება), სხვა სოციალური ხარჯებიდან - 3270 ლარი (32 განცხადება).

2020 წელს სოფელ ვაქირში რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა (ორი უბნის) „გარაჟებისა“ და „ნადაანთ“ უბნების გზების რეაბილიტაციისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობის პროექტი,რომლის ღირებულებაც 684 000 ლარია : სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საბავშვო ბაღის მიმდებარედ ( მოსახლეობის სურვილით) მოეწყო მექანიკური ტრენაჟორები და ატრაქციონები; რებილიტაცია ჩაუტარდა ვაქირის ი.მოსაშვილის სახელობის საჯარო სკოლას; მოიხრეშა სტიქიის შედეგად დაზიანებული შიდა საუბნო და სასოფლო - სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზები, დასრულდა სარწყავი სისტემის, სატუმბი სადგურისა და სარწყავი ქსელის მოწყობა; დამონტაჟდა ახალი ტუმბო აგრეგატები,მოეწყო 15 კილომეტრიანი სარწყავი ქსელი, შედეგად სოფელში (ურწყავ ზონაში) 170 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მორწყვა გახდა შესაძლებელი.

2019 წლის ნოემბრიდან აქტიურად ვიყავი ჩართული სოფ. ვაქირში სამოქალაქო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტების: 1. სიღნაღი-ვაქირის დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკის შესწავლა და შემდგომში ტურიზმზე ორიენტირებული გზის მოწყობისა და 2. მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე პარკის მოწყობის დაგეგმვასა და პროექტირებაში. პანდემიასთან დაკავშირებით აღნიშნული პროექტების განხორციელება მომდევნო წლისათვის გადაიდო.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის N197 ბრძანების საფუძველზე ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაში კორონა ვირუსთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის წევრი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, კორონა ვირუსის ეპიდემიად (შემდგომში პანდემია) გამოცხადების შემდეგ, სამუშაო ჯგუფმა ,რომლის მუშაობაშიც აქტიურად ვარ ჩართული დაიწყო კორონა ვირუსის პრევენციისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება. როგორც სამუშაო ჯგუფის წევრმა მონაწილეობა მივიღე საინფორმაციო კამპანიაში, რაც გულისხმობს მოსახლეობის ინფორმირებას ახალ კორონა ვირუსის სიმპტომებთან დაკავშირებით, covid-19-ის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, სოფელ ვაქირში მცხოვრებ მოსახლეობას მერის წარმომადგენელთან ერთად ჩავუტარეთ მასობრივი თერმოსკრინინგი. ვაზორციელებდი მოსახლეობის რეგულაციების დაცვაზე კონტროლს, მოქალაქეთა დახმარებას (საკუთარი

ხარჯებით) - მათთვის სურსათის, მედიკამენტებისა თუ სხვა საჭირო ნივთების მიტანა, გადაადგილებას და ასე შემდეგ.

მინდა აღვნიშნო, რომ საანგარიშო პერიოდში, სოფელ ვაქირში ჩემ მიერ ორგანიზებული იყო დასუფთავების 2 აქცია. წინა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოვიარე ვაქირის ადმინისტრაციული ერთეულის ყველა უბანი. შევხვდი ხალხს, მოვისმინე მათი თვალით დანახული პრობლემები და მათთვის პრიორიტეტული საკითხები.

როგორც სოფლის მაჟორიტარისათვის მნიშვნელოვანია ყველა ის პრობლემა თუ გამოწვევა, რომლის წინაშეც ჩემი სოფელი დგას. არ დავიშურებ ძალისხმევას, რათა შევძლო დასახული ამოცანების განხორციელება და იმ მიზნების მიღწევა, რაც ჩვენს მოქალაქეებს ცხოვრების უკეთესს პირობებს შეუქმნის. მიმაჩნია, რომ განვლილ საანგარიშო პერიოდში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით უფრო აქტიური და ნაყოფიერი გახდება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის შემდგომი საქმიანობა.

შეცხების თარიღი: 29.10.2020 წელი

ნანა ნანობაშვილი